საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი N14

ქ. თბილისი

01.07.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი მაჩაბელი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი; სხდომის თავმჯდომარე;
მაია ჩიხლაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას" დირექტორის მოადგილე, მედიცინის დოქტორი; საბჭოს მდივანი;
ზაზა მარუაშვილი - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი - გიორგი ცხვედიანი;
ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი - ლაშა მარგიშვილი;
ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი - ლიკა გიორგაძე;
ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი - ნინო გაგელიძე;
ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი - თამარ აფრასიძე;
ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი - თამთა კობახიძე.

აკრედიტაციის ექსპერტები:

ვასილ კიკუტაძე;
არჩილ აბაშიძე;
ნანი არაბული;
მურად გარუჩავა;
თეო ურუშაძე;
გიორგი გვალია;
თამარ გაიხარაშვილი.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ჯონი მწარიაშვილი;
სულხან სულხანიშვილი;
სერგო ცირამუა;
კახაბერ თავზარაშვილი;
მაია ამაშუკელი;
გიორგი ლომიძე;
სოსო გოგილიძე;
არჩილ ჯანგირაშვილი.

შპს - დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ლევან ტვილდიანი;
თამარ თალაკვაძე;
პაატა ცაგარეიშვილი;
ნია ბრეგვაძე-თაბაგარი.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ოთარ სესიკაშვილი;
კონსტანტინე სირბილაძე.

შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები:

თამარ გარდაფხაძე;
ქეთევან ჯიჯეიშვილი.

სხდომა დაიწყო 15:20 სთ-ზე. სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე და მოადგილე, ამიტომ საბჭოს წევრებმა ერთხმად აირჩიეს სხდომის თავმჯდომარე ირაკლი მაჩაბელი.

ირაკლი მაჩაბელმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა ოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მან საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის (ე-პსდ) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვების ინდუსტრიის ინჟინერიის, საწარმოო პროცესებისა და მანქანების მართვის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის დამატებითი (minor) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა:
9. შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებლის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ დაფიქსირებულა, ამდენად საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

1. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ეკონომიკაში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0701
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, ვასილ კიკუტაძემ, რომელმაც დადებითად შეაფასა პროგრამა, მისი თქმით, ვიზიტის დროს დადასტურდა დაწესებულების მიერ აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილება, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს ხარვეზი არ დაუფიქსირებია, თუმცა, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა რეკომენდაციები:

- პროგრამის განვითარების მიზნით, სასურველია, პროგრამაში წარმოდგენილი იყოს ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა „საერთაშორისო ფინანსები", „შრომის ეკონომიკა", „მსოფლიო ეკონომიკა", რაც უფრო სრულყოფილს გახდის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმს;
- სასურველია, საუნივერსიტეტო საგნების დასახელება, მიზნობრიობა და კრედიტების მოცულობა განისაზღვროს სპეციალური ინსტრუქციით და ასევე, არჩევითობის პრინციპი გავრცელდეს აღნიშნულ სასწავლო კომპონენტზე (კერძოდ, შესაძლებელია ფილოსოფიის შესავლის, სოციოლოგიის შესავლის და სხვა სასწავლო კურსების შეთავაზება);
- პროგრამის ეფექტიანი ადმინისტრირებისა და მისი განვითარების თვალსაზრისით, სასურველია, არჩევითი ბლოკი (96 კრედიტიდან 60 კრედიტი) მოიცავდეს მაინორ სპეციალობას;
- სასურველია, აკადემიურ პერსონალს მიეცეს მეტი თავისუფლება დასკვნითი გამოცდის შეფასების დროს საბოლოო ქულის განსაზღვრისას.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მსოფლიო ეკონომიკა და სხვა პროგრამები უკვე გათვალისწინებული იყო, სწავლის შედეგები უზრუნველყოფილი იყო, უბრალოდ სახელწოდება იყო განსხვავებული - „საერთაშორისო ეკონომიკა".

ასევე, გათვალისწინებული იყო შრომის ეკონომიკის საგანთან დაკავშირებით დაფიქსირებული რეკომენდაცია და უკვე მუშაობდნენ ამ საგნის დამატებაზე.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არ ეთანხმებოდა მოსაზრებას ეკონომიკის მაინორ სპეციალობად გათვალისწინებასთან დაკავშირებით, რადგან თვლიდა, რომ ეკონომიკა იმდენად მოცულობითი საკითხია, რომ არ იძლევა საშუალებას მაინორად სწავლებისთვის.

რაც შეეხება ბოლო რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლექტორებს აქვთ საშუალება, დასკვნითი გამოცდის შეფასება განსაზღვრონ თავიანთი სურვილისამებრ. სტანდარტული შეფარდებაა 30/70 და აქამდე არავის დაუფიქსირებია მოთხოვნა ამ გადანაწილების წინააღმდეგ. თანაც, უნივერსიტეტი ატარებს კვლევებს ამ მიმართულებით, ყველა ჩართულია ამ პროცესში და უკმაყოფილება არავის გამოუხატავს. თუ ლექტორებს ექნებათ ცვლილებების შეტანის სურვილი და ამას დაასაბუთებენ, მათ არანაირი პრობლემა არ შეექმნებათ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ახალი საგნების ჩასმამ ხომ არ დაარღვია კრედიტების გადანაწილება. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს საგნები არჩევით საგნებად იქნა გათვალისწინებული და ამდენად, შესაბამისი პროპორცია არ დარღვეულა.

საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი დაინტერესდა როგორ განკარგავდა ლექტორი შეფასების სისტემით გათვალისწინებულ 30%-ს.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ შემუშავებული ჰქონდათ შეფასების ბადე და ამ საუნივერსიტეტო შეფასებიდან 30% მოდიოდა საფინალო გამოცდაზე. ლექტორების მხრიდან აქამდე არ ყოფილა წინააღმდეგობა, და თუ დასაბუთებული ექნებოდათ განსხვავებული მოსაზრება, ისინი თანახმა იყვნენ დაეკმაყოფილებინათ ეს მოთხოვნა.

მამია ჯანჯალიამ იკითხა, ასეთ სურვილს თუ გამოთქვამდა მხოლოდ ერთი ლექტორი, დაწესებულება განიხილავდა თუ არა ამ შემთხვევას ინდივიდუალურად.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ამ შემთხვევაში გაითვალისწინებდნენ ლექტორის არგუმენტაციას და საილუსტრაციოდ განმარტა შეფასების მოდელი: 24 % - შუალედური შეფასებისთვის, 10 - სემესტრული ნაშრომისა და პრეზენტაციისთვის. 36 - მიმდინარე შეფასებებისა და ქვიზებისთვის, ხოლო დასკვნითი გამოცდა - 30%.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა ურჩია დაწესებულებას, რომ ჯობდა ფინალური გამოცდა არ ყოფილიყო 40%-ზე ნაკლები, დასავლეთის პრაქტიკის მსგავსად, მართალია ის მიესალმებოდა მოთხოვნების გამკაცრებას, მაგრამ აკადემიური თავისუფლების შემოტანა, უფრო უკეთესი იქნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა რჩევისთვის.

ზაზა მარუაშვილმა გამოთქვა თავისი დადებითი მოსაზრება არსებული სქემის მიმართ, რადგან აქცენტი გადატანილი იყო მიმდინარე შეფასებაზე, რაც საქართველოში მომხიბვლელი არ იყო და რეალურად გამოდიოდა, რომ დასკვნითი შეფასება წარმოადგენდა 40%, რადგან 10%-იან პრეზენტაციასაც მოიცავდა, შესაბამისად, მისი მოსაზრებით, ლექტორის თავისუფლება შეზღუდული არ იყო.

ირაკლი მაჩაბელმა განაცხადა, რომ ფინალური გამოცდა თუ 40-ქულიანი იქნებოდა, სტუდენტს გამოცდაზე გასვლისთვის უნდა დაეგროვებინა მხოლოდ 11%, რაც მინიმალური ქულა იყო და არ იყო მისი დაგროვება რთული, აქავე, იკითხა, თუ რას გულისხმობდა დაწესებულების წარმომადგენელი, როცა აღნიშნა, რომ მაინორ პროგრამებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე უპასუხა, რომ ასე ჯობდა სტუდენტთა კონტინგენტიდან გამომდინარე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტების დონე იყო საშუალო და მაინორის დაძლევას მხოლოდ ძლიერი სტუდენტები შეძლებდნენ.

2. **შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	02
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, ვასილ კიკუტაძემ, რომელმაც დადებითად შეაფასა პროგრამა, მისი თქმით, ვიზიტის დროს დადასტურდა დაწესებულების მიერ აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილება, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს ხარვეზი არ დაუფიქსირებია, თუმცა, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა რეკომენდაციები:

- სასურველია, საუნივერსიტეტო საგნების დასახელება, მიზნობრიობა და კრედიტების მოცულობა განისაზღვროს სპეციალური ინსტრუქციით, და ასევე, არჩევითობის პრინციპი გავრცელდეს ზემოთ აღნიშნულ სასწავლო კომპონენტზე (კერძოდ, შესაძლებელია ფილოსოფიის შესავლის, სოციოლოგიის შესავლის და სხვა სასწავლო კურსების შეთავაზება);
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში გათვალისწინებულია არჩევითი დისციპლინა „სტაჟირება ეკონომიკასა და ბიზნესის ადმინისტრირებაში", მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა გაჯერებულია პრაქტიკული კომპონენტებით, აღნიშნული კომპონენტი სასურველია იყოს ძირითადი დისციპლინების ჩარჩოში, რაც კიდევ უფრო გაამყარებს პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული პრაქტიკული კომპონენტების სწავლის შედეგებს;
- სასურველია, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის მარკეტინგის კონცენტრაციის არჩევით დისციპლინებში დაემატოს B2B მარკეტინგის დისციპლინა, რაც კიდევ უფრო გაზრდის სტუდენტის აკადემიური თავისუფლების ხარისხს და მისცემს საშუალებას, საჭიროების შემთხვევაში, სიღრმისეულად გაერკვნენ მარკეტინგის მოცემულ მიმართულებაში;
- სასურველია, აკადემიურ პერსონალს მიეცეს მეტი თავისუფლება დასკვნითი გამოცდის დროს საბოლოო ქულის განსაზღვრისას.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრაქტიკული კომპონენტი შეიძლებოდა გადატანილი ყოფილიყო ძირითად საგნად, ხოლო მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მარკეტინგის პროგრამა ისედაც მრავალფეროვანია და კონკრეტულად B2 მარკეტინგის დისციპლინის დამატებას ეთანხმებოდა, თუმცა ამის განხორციელებისთვის დრო იყო საჭირო.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ იკითხა, თუ რატომ ჩათვალეს საჭიროდ, სილაბუსებში მიეთითებინათ ლიტერატურის გვერდები.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამაში პრობლემას ვერ ხედავდა, რადგან ლექტორს წინასწარ ჰქონდა ამ შემთხვევაში განსაზღვრული, თუ რა საკითხების გაშუქებას აპირებდა.

საბჭოს წევრი, ირაკლი მაჩაბელი დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ჯობდა, სტუდენტებს თავად მოეძებნათ თემის შესაბამისი მასალის გვერდები ლიტერატურაში.

3 .შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ტურიზმი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ტურიზმის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0205
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, ვასილ კიკუტაძემ, რომელმაც დადებითად შეაფასა პროგრამა, მისი თქმით, ვიზიტის დროს დადასტურდა დაწესებულების მიერ აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილება, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს ხარვეზი არ დაუფიქსირებია, თუმცა, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა რეკომენდაციები:

- პროგრამის განვითარების მიზნით, სასურველია პროგრამის არჩევითი კურსებიდან ძირითადი სასწავლო კურსების ნაწილში გადავიდეს ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა „მასპინძლობის მენეჯმენტი“ და „ოპერაციათა მენეჯმენტი“, რაც უფრო სრულყოფილს გახდის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმს;
- სასურველია, საუნივერსიტეტო საგნების დასახელება, მიზნობრიობა და კრედიტების მოცულობა განისაზღვროს სპეციალური ინსტრუქციით და ასევე, არჩევითობის პრინციპი გავრცელდეს აღნიშნულ სასწავლო კომპონენტზე (კერძოდ, შესაძლებელია ფილოსოფიის შესავლის, სოციოლოგიის შესავლის და სხვა სასწავლო კურსების შეთავაზება);
- პროგრამის ეფექტიანი ადმინისტრირების და მისი განვითარების თვალსაზრისით, სასურველია, არჩევითი ბლოკი (96 კრედიტიდან 60 კრედიტი) მოიცავდეს მაინორ სპეციალობას;
- სასურველია, აკადემიურ პერსონალს მიეცეს მეტი თავისუფლება დასკვნითი გამოცდის დროს საბოლოო ქულის განსაზღვრისას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ერთნაირი იყო ყველა პროგრამისთვის და აღარ იყო საჭირო დეტალური განმარტების მიცემა, ხოლო რაც შეეხება სასტუმროს მენეჯმენტზე რეკომენდაციას, უკვე გათვალისწინებული ჰქონდათ.

საბჭოს წევრი, მაია ჩიხლაძე დაინტერესდა, თუ რატომ ეწერა დაწესებულებას თვითშეფასებაში საერთაშორისო მობილობის დაბალი მაჩვენებელი, როცა 20-მდე მემორანდუმი ჰქონდათ გაფორმებული. წარმომადგენელმა განმარტა, რომ დიდი ხანი არ იყო, რაც ახორციელებდნენ საბაკალავრო პროგრამას - ჯამში 2 წელი, ანუ კურსდამთავრებული არ ჰყავდა ჯერ ტურიზმის პროგრამას და მიუხედავად იმისა, ხოლო სტუდენტები თავად არ გამოირჩეოდნენ აქტიურობით და ამდენად, გადაწყვიტეს მიდგომის შეცვლა და პირადად მიმართეს კონკრეტულ სტუდენტებს. აღმოჩნდა, რომ 5 სტუდენტი იყო დაინტერესებული საზღვარგარეთ სწავლით.

ამის მიზეზად დაწესებულების წარმომადგენელმა ის დაასახელა, რომ მისი მოსაზრებით, კერძო უნივერსიტეტებში ძირითადად ის სტუდენტები აბარებდნენ, რომელებიც მეტად იყვნენ დამოკიდებულები მშობლებზე.

მაია ჩიხლაძე დაეჭვდა ამ მოსაზრებაში და იკითხა, იქნებ მთავარი მაინც ფინანსური მხარე იყო, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მას შემდეგ, რაც მიდგომა შეცვალეს და თავად უკავშირდებიან სტუდენტს, ამის შემდეგ აღმოაჩინეს მსურველები, რაც ფინანსურ პრობლემაზე მეტად, ინიციატივის ნაკლებობაზე მეტყველებს, თუმცა ზოგადად, სიძვირეც განაპირობებდა, ცხადია, გარკვეულწილად ამ თავშეკავებას.

საბჭოს თავმჯდომარეც დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ინიციატივის ნაკლებობა, შესაძლოა, ფინანსებთან ყოფილიყო დაკავშირებული.

4. **შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ინფორმატიკა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინფორმატიკის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0401
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტების დასკვნა და რეკომენდაციები წარადგინა არჩილ აბაშიძემ. მან განაცხადა, რომ ვიზიტის დროს შეხვდნენ პროფესორებს, სტუდენტებსა და დამსაქმებლებს, მსვლელობის დროსაც გასწორდა სილაბუსები, ჩასწორდა სწავლის მეთოდები, ტექნიკური ხარვეზები, გაიზარდა ზოგიერთი ლექციის ხანგრძლივობა. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსში „INFO3110 კომპიუტერული ქსელები I" მთიანად ინტეგრირებულია CISCO CCNA 5.0 საერთაშორისო კურსების პირველი და მეორე მოდულის მასალა და მოიცავს, როგორც ქსელის საფუძვლებს, ასევე ქსელების ადმინისტრირებას. აღნიშნული მასალა არის საკმაოდ მოცულობითი და სასურველია, თუ ეს კურსი დაიშლება ორ ნაწილად;
- სასწავლო კურსი „INFO4259 მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმები" წარმოადგენს ისეთი სასწავლო კურსების საფუძველს, როგორიცაა „INFO3131 ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება C++" და „INFO3250 ვიზუალური დაპროგრამება (C#)1";
- სასურველია, თუ აღნიშნული საგნის შესწავლა მოხდება ვიზუალური და ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირების საგნების შესწავლამდე.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა გაიზიარა პირველი რეკომენდაცია, ასევე, რეკომენდაცია საათების გაზრდასთან დაკავშირებით და 2 სთ-დან 4-მდე გაზარდეს კომპიუტერული სისტემების კურსი. ასევე, მან აღნიშნა, რომ მასალა სტუდენტებს მიეწოდებათ ინგლისურ ენაზე და ამის შესახებ ისინი წინასწარ იყვნენ ინფორმირებული და მოთხოვნაა ინგლისური ენის კარგად ცოდნა.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ გამოხატა საკუთარი პატივისცემა, იმის გამოც, რომ რეკომენდაციები გაითვალისწინა დაწესებულებამ და იკითხა, საკონტაქტო საათების გაზრდამ თუ გამოიწვია კრედიტების გაზრდაც.

კახა თავზარაშვილმა უპასუხა, რომ დატვირთვა დამოუკიდებელ მუშაობაზე იყო გადატანილი და გააძლიერეს საკონტაქტო საათები.

ირაკლი მაჩაბელი იკითხა, თუ ჰქონდათ აქამდე გამოშვება. კახა თავზარაშვილმა უპასუხა, რომ ჰყავდათ კურსდამთავრებულები და 50 სტუდენტიდან 15-მა სტუდენტმა დაასრულა სწავლა. მათი ნაწილი დასაქმებული იყო უნივერსიტეტში, ნაწილი კი სახელმწიფო სტრუქტურებში.

მამია ჯანჯალიამ იკითხა პროგრამისტის პროფესიით რამდენი მათგანი მუშაობდა. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაახლოებით 12 სტუდენტი დასაქმდა ამ მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, ზაზა მარუაშვილმა იკითხა, თუ არსებობდა უნივერსიტეტში საგანი კიბერდანაშაულის სამართლებრივი რეგულაციების შესახებ. უპასუხეს, რომ არსებობდა ასეთი საგანი და მას გიგი გურიელიძე კითხულობდა, რომელსაც სამაგისტრო ნაშრომი სწორედ ამ თემაზე ჰქონდა გაკეთებული ესტონეთში. ეს წარმოადგენდა არჩევით საგანს და აპრობაციის გავლის შემდეგ აპირებდნენ გადაეტანათ ძირითადი საგნების მოდულში.

5. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	1109
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტმა არჩილ აბაშიძემ აღნიშნა, რომ აღსანიშნავი იყო დაწესებულების ბიბლიოთეკა და გამორჩეული და შთამბეჭდავი იყო ეს პროგრამა. მან წარმოადგინა 3 რეკომენდაცია:

- სასურველია, საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგნების ბლოკს დაემატოს საგანი/საგნები, რომლებიც უფრო ღრმად გააცნობს სტუდენტებს საჯარო ადმინისტრირებაში ელექტრონული მმართველობის დანერგვის თანამედროვე ტენდენციებსა და გამოწვევებს;
- პროგრამის არჩევითი საგნების ნაწილში პრაქტიკის კომპონენტის დამატება დაეხმარება სტუდენტებს, რომლებიც არ მუშაობენ, პრაქტიკული უნარების განვითარებაში, თუნდაც არჩევითი კომპონენტის სახით;
- სასურველია პროგრამის სამართლის დისციპლინების ბლოკის გამდიდრება და დამატებით ისეთი საკითხების გაშუქება, როგორიცაა სამოხელეო ან/და შრომის სამართალი, საგადასახადო/საფინანსო/საბიუჯეტო სამართალი. სასურველია დამოუკიდებელი კურსის სახით ისწავლებოდეს ადამიანის უფლებები, ასევე შინაარსითა და მოცულობით გაიზარდოს ადმინისტრაციული სამართლის სასწავლო კურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

ნოდარ ხერხეულიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და განაცხადა, რომ ელექტრონული მმართველობის შესახებ რჩევას იზიარებდნენ და გაითვალისწინებდნენ მომავალში. ასევე, ეთანხმებოდნენ მომდევნო რეკომენდაციას და აღნიშნეს, რომ მუშაობენ პროგრამის გამდიდრებაზე და გაიზიარეს ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ რეკომენდაცია, რის შემდეგაც, ეს კურსი დაამატეს არჩევითი საგნების ბლოკში.

საბჭოს წევრმა, ზაზა მარუაშვილმა იკითხა, თუ ჰქონდათ კურსი მუნიციპალური სამართლის შესახებ. აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, გიორგი ცხვედიანმა დაადასტურა, რომ ჰქონდათ, მაგრამ ადმინისტრაციულ სამართალში აერთიანებდნენ და რეკომენდაცია მისცეს დაწესებულებას, რომ სამოხელეო საგნებიც დაემატებინათ.

მამია ჯანჯალიამ იკითხა, სად დაიწყებდა სტუდენტი მუშაობას უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ.

ნოდარ ხერხეულიძემ უპასუხა, რომ პოტენციური დამსაქმებელი იყო სახელმწიფო, საქართველოს პარლამენტი მაგალითად, რომელიმე კომიტეტის მდივან-სპეციალისტის თანამდებობის სახით, შემდეგი პროფესიული განვითარება კი დამოკიდებული იქნებოდა თვითონ სტუდენტზე.

საბჭოს წევრმა, ირაკლი მაჩაბელმა იკითხა, რატომ არ იყენებდნენ სტაჟირების პრაქტიკას. წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სამწუხაროდ არ იყო ხელმისაწვდომი, რადგან არ იყვნენ სამინისტროები ღია ასეთი თანამშრომლობისთვის და იმედოვნებდა, რომ ახალი განკარგულების მიხედვით, რის საფუძველზეც დაევალათ საჯარო სამსახურებს სტაჟირება, უფრო მეტი საშუალება მიეცემოდათ სტუდენტებს პრაქტიკის გავლისთვის. ხოლო უფრო ფართო მასშტაბზე გასვლა ძნელი იყო მათი დიდი სურვილის მიუხედავად.

დაწესებულების წარმოამდგენელმა ნოდარ ხერხეულიძემ დაამატა, რომ მეოთხეკურსელების 50% დასაქმებული იყო კერძო სტრუქტურებშიც, არასამთავრობო ორგანიზაციებშიც.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა ინტერნაციონალიზაციის საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოლაპარაკებები მიმდინარე პროცესშია. მოწვეული ჰყავთ უცხოელი ლექტორი, რომელიც უნდა ჩამოვიდეს და აქაურ ლექტორებს ჩაუტაროს ლექციები, რათა შემდეგ ლექტორებმა გადასცენ ცოდნა სტუდენტებს.

16:17 სთ-ზე სხდომაზე გამოაცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 16:39 სთ-ზე.
სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის პირველ ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0).

საბჭოს თავმჯდომარის ირაკლი მაჩაბლის განცხადებით, მოხარული იყო რომ დაწესებულებები იზიარებდნენ რეკომენდაციებს, ასევე აღნიშნა რომ საბჭო კეთილგანწყობილი იყო ყველა დაწესებულების მიმართ და მისი ერთადერთი საზრუნავი იყო, რაც შეიძლება უკეთესი პროგრამების წარდგენა, რათა საშუალო სტუდენტებიდან მიეღოთ კარგი სტუდენტები.

6. შპს - დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის (ე-პსდ) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა (ე-პსდ)
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული მედიკოსი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	090101
კრედიტების რაოდენობა	376

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ვალიშვილმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამაზე მიღების წინაპირობები უფრო მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული თვით პროგრამაში;
- სასურველია სილაბუსებში მითითებული იყოს თუ რომელ სემეტრში ისწავლება ესა თუ ის მოდული ან სასწავლო კურსი. სტუდენტის მეტად ინფორმირებულობის მიზნით სასურველია მიეთითოს ან მხოლოდ სემესტრი გამჭოლი ნუმერაციით, ან სწავლების წელი და სემესტრი ერთად;
- სასურველია კურიკულუმში და ცალკეული საგნების სილაბუსებში მითითებული იყოს გამოცდის ჩაბარებისთვის გათვალისწინებული საკონტაქტო დრო;
- სასურველია შემაჯამებელ საეტაპო გამოცდებს მიენიჭოს კრედიტები;
- სასურველია პროგრამაში მკაფიოდ იყოს გამიჯნული 20 კვირიანი სემესტრის განაწილება სააუდიტორო, დასკვნით და განმეორებით გამოცდებზე, მათ შორის 10 დღიანი შუალედის დათქმით, სტუდენტისთვის მარტივად აღქმის მიზნით;
- აღსანიშნავია, რომ მოდულების/სასწავლო კურსების სილაბუსების დიდ ნაწილში, გრაფაში „სასწავლო კურსის შინაარსი" არ არის გაწერილი თემატიკა მეცადინეობების მიხედვით (ლექცია/სემინარი/პრაქტიკული), თუმცა დაწესებულებაში სტენდზე გამოკრულია, ასევე მონიტორზე გამოტანილია და სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია კვირების მიხედვით გაწერილი ცალკეული მეცადინეობის შინაარსი, უმჯობესია ეს ინფორმაცია სილაბუსებშიც იყოს შეტანილი;
- სასწავლო კურსის „კლინიკური უნარ-ჩვევები 3" სილაბუსში ვფიქრობთ საქმე გვაქვს ტერმინოლოგიურ უზუსტობასთან, რამეთუ „საექთნო საქმე" განათლების სხვა საფეხურია თავისი მიზნებით, შედეგებით და შესაბამისი კვალიფიკაციით. სილაბუსის შინაარსი და სწავლის შედეგები ითვალისწინებს არსებული საფეხურის ფარგლებში კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას, აქედან გამომდინარე სასურველია ეს უზუსტობა ჩასწორდეს.
- უნდა აღინიშნოს, რომ რიგ სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია ქართულენოვანი სახელმძღვანელოები, („ბიოსტატისტიკა" - ა.ციბაძის „სამედიცინო ინფორმატიკის საფუძვლები" ქცევათმეცნიერება 2 - თ. ნანეიშვილის ქცევის ფსიქოფიზიოლოგია, „ბიოსამედიცინო ეთიკა", „სამედიცინო საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები" თ.ჩაჩიბაიას - „საექიმო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები", ფსიქიატრია - გ.ნანეიშვილის „ფსიქიატრიის მოკლე კურსი") რაც უცხოელი სტუდენტის პროგრამაში ჩართვის შემთხვევაში შექმნის უხერხულობას. ამავდროულად დამატებით ლიტერატურად დაფიქსირებულია უცხოენოვანი სახელმძღვანელოები და ინტერნეტ გვერდები. სასურველია მათი ძირითად ლიტერატურაში გადმოტანა.
- მოდული „სისხლმბადი სისტემა და ინფექცია" აერთიანებს 9 საგნობრივ ბლოკს, მათ შორის „სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 2.2" და „ბიოსამედიცინო ეთიკა 2.2", რომელთა სწავლისთვის გათვალისწინებული სახელმძღვანელოები გრაფაში - „სავალდებულო ლიტერატურა" მითითებული არ არის.
- მოდული „გულ-სისხლძარღვთა სისტემა" აერთიანებს 7 საგნობრივ ბლოკს, სილაბუსში კი გრაფაში „ლექტორი" მითითებულია მხოლოდ 4 კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალი. სასურველია კორექტირება.
- პროგრამით გათვალისწინებულ რამდენიმე სასწავლო კურსის, კერძოდ „კლინიკური უნარ-ჩვევები 1,2 და 3", „სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 1 და 3", მიზნები და დამატებითი სამიზნეები აბსოლუტურად იდენტურია, თუმცა მათი შინაარსი და სწავლის შედეგები განსხვავებული. საჭიროა მიზნის დაკორექტირება, შინაარსა და შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანის პრინციპით.

- უნივერსიტეტს დადგენილი აქვს "სპეციალური პირობები აბიტურიენტებისათვის", კერძოდ - "სავალდებულოა ინგლისური ენის კარგი ცოდნა". სასურველია დაკონკრეტდეს რა იგულისხმება „ინგლისური ენის კარგ ცოდნაში" - სალაპარაკო ენის ცოდნა, წერა-კითხვა ამ ენაზე თუ ამ ცოდნის დადასტურება რომელიმე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატით. მეტი გამჭირვალობის მიზნით სასურველია პროგრამაზე მიღების წინაპირობები უფრო მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული თვით პროგრამაში.
- სასურველია გასწორდეს სასწავლო კურსის „სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 1" სილაბუსში შეფასების სისტემის ნაწილში დაშვებული ტექნიკური უზუსტობა, დასწრების კომპონენტს ენიჭება 10%, ხოლო აქტივობას - 30 %
- სასურველია გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების წინაპირობები, მაგალითად - „ბიოსამედიცინო ეთიკა", „ბიოსტატისტიკა", „სამეცნიერო კვლევის საუძვლები 1", სადაც სილაბუსებში პრერეკვიზიტად მითითებულია „12 წლიანი საშუალო განათლების სათანადო დონეზე ცოდნა", რაც ვფიქრობთ არასწორია, სასურველია წინაპირობად მითითებული იყოს წინამდებარე პროგრამის ფარგლებში არსებული მოდულები და სასწავლო კურსები. ასევე მოდულების - „ძვალ-კუნთოვანი სისტემა და კლინიკური დიაგნოსტიკის საფუძვლები", „სისხლმბადი სისტემა და ინფექცია", „გულ-სისხლძარღვთა სისტემა" წინაპირობაში წერია - „.... ასევე სამედიცინო ეთიკის სასწავლო კურსით განსაზღვრული საკითხების ცოდნა და უნარ-ჩვევები", სასურველია მიეთითოს სასწავლო გეგმაში გაწერილი კონკრეტული სასწავლო კურსი - „ბიოსამედიცინო ეთიკა"; სასწავლო კურსის „კლინიკური უნარ-ჩვევები 1" პრერეკვიზიტად მითითებულია - გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების მოდულების სასწავლო კურსი, უნდა იყოს მხოლოდ „მოდულები";
- უნდა აღინიშნოს, რომ რიგ სილაბუსებში გამოიყენება ტერმინი „სრული პროფესორი", რაც საჭიროებს კორექტირებას, საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ" ახალი რედაქციის შესაბამისად უნდა იყოს „პროფესორი";
- პროგრამის ინგლისურ ენაზე განხორციელების და უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვის შემთხვევაში რეკომენდებულია არსებობდეს პროგრამის (სილაბუსებით) ინგლისურენოვანი ვერსია.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა საშუალება, გამოეთქვა მოსაზრებები. დაწესებულების რექტორმა, ლევან ტვილდიანმა განაცხადა, რომ სასწავლებელს აქვს ელექტრონული სწავლების ორიგინალური მეთოდი, რომელიც პრობლემაზეა ორიენტირებული და სიტყვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელს, ნია ბრეგვაძეს გადასცა.

ნია ბრეგვაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტა ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის და აღნიშნა, რომ საკუთარი თავისთვის აკრედიტაციის გავლის ვალდებულება იმიტომ აიღო დაწესებულებამ, რომ მას თავად აქვს ინტერესი, აღიარებული იყოს საკუთარ საგანმანათლებლო სივრცეში. პროგრამა ხორციელდება ტემპუსის ფარგლებში ხოლო ინგლისში აკრედიტაციის შესახებ მოთხოვნა არ არსებობს, ამიტომ ეს იყო თვითონ დაწესებულების კეთილი ნება, დაეკმაყოფილებინა საკუთარი ქვეყნის სტანდარტებიც. ნია ბრეგვაძემ ისიც აღნიშნა, რომ დავით ტვილდიანის უნივერსიტეტისთვის დასაქმება არ წარმოადგენდა პრობლემას, მათი მთავარი ამოცანაა, მოამზადონ სტუდენტები ამერიკის რეზიდენტურის პროგრამების ასათვისებლად. მან გააკეთა რამდენიმე განმარტება რეკომენდაციებთან დაკავშირებით, კერძოდ, საგნების სემესტრულ გადანაწილებასთან დაკავშირებით თქვა, რომ იმიტომ არ ჰქონდათ გაწერილი, რომ თვითკმარ მოდულებს წარმოადგენს და მათი გავლა ნებისმიერ სემესტრშია შესაძლებელი, თუმცა აღინიშნა, რომ მათ ჰქონდათ მეორე სამუშაო ვერსიაც, სადაც გაწერილია ყველა სამუშაო კვირაო, რისი წარდგენათ შეეძლოთ ექსპერტებისთვის.

შემდეგ რეკომენდაციაზე განმარტა, რომ გამოცდის ჩაბარებისთვის საკონტაქტო დროის გაწერის შემთხვევაში, დამოუკიდებელი მოსამზადებელი დროც უნდა გაეწერათ და ამ ყველაფრის შედეგად, კრედიტების მოცულობა გაიზრდებოდა. ასევე, 20-კვირიან გადანაწილებაზე 10-დღიანი შუალედით არავის ჰქონდა გამოთქმული პრეტენზია სტუდენტებიდან და ყველა იყო ამის შესახებ ინფორმირებული, შესაბამისად, პრობლემას არ წარმოადგენდა გადანაწილების არსებული სქემა.

რაც შეეხება თემატიკის მიხედვით მეცადინეობას, ნია ბრეგვაძემ განაცხადა, რომ თვითონაც ლექტორია და ყოველთვის ერთნაირი თანმიმდევრობით არ კითხულობს ლექციებს, რის გამოც არ მიაჩნია მიზანშეწონილად, წინასწარ გაწეროს თემების ზუსტი თანმიმდევრობა.

კლინიკურ უნარჩვევებთან დაკავშირებით, ნია ბრეგვაძემ განმარტა, რომ აქ არ იყო ტერმინილოგიური უზუსტობა და განმარტა, რომ ეს იყო პირველი ანალოგი, რომელიც უნდა განახორციელონ პრაქტიკაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა დანარჩენ რეკომენდაციებზე განაცხადა, რომ მხედველობაში მიიღებდნენ და გაითვალისწინებდნენ ექსპერტების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს - ამოიღებდნენ წინაპირობად 12 კლასის განათლებას, ხოლო რაც შეეხება სრული

პროფესორის თანამდებობას, ნია ბრეგვაძემ აღნიშნა, რომ არ იყო ინფორმირებული კანონმდებლობაში შესული ამ ცვლილების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს მიმართა, თუ ჰქონდათ კითხვები.

დავით კახნიაშვილმა განაცხადა, რომ ჰოსპიტალურ საკითხებზე შესაძლოა რთული ყოფილიყო თემატიკის გაწერა, მაგრამ არსებობდა საკითხები, რომლის მიმდევრობის დადგენა წინასწარ იყო შესაძლებელი, და კარგი იქნებოდა, თუ დაწესებულება სტანდარტებს დოკუმენტაციური კუთხითაც დააკმაყოფილებს და გაითვალისწინებს ექსპერტების რეკომენდაციებს. მან გამოთქვა იმედი, რომ ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები დიდ წარმატებას მიაღწევენ და მათ დასაქმებას საქართველოს კლინიკები უზრუნველყოფენ. დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ თეორიული ცოდნის პრობლემა არასდროს ყოფილა, მაგრამ დეფიციტია აღჭურვილობის მხრივ, თუმცა თანდათან იზრდება შესაძლებლობები.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ გამოთქვა წუხილი იმის შესახებ, რომ მისი სტუდენტობისას არ იყო ეს უნივერსიტეტი და მხარს უჭერდა აკადემიურ პერსონალს, თუმცა ურჩია დაწესებულებას, გაეთვალისწინებინა ექსპერტების რჩევები.

ირაკლი მაჩაბელმა იკითხა, თუ არსებობდა უნივერსიტეტში ინგლისური სექტორი და რა დონეზე შეეძლოთ სტუდენტებს ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან ტვილდიანმა უპასუხა, რომ ინგლისურენოვან სექტორზე ლიტერატურა იგივე იყო, რაც ქართულზე და ენის ფლობის მხრივ, პრობლემები არ ექმნებოდათ სტუდენტებს.

საბჭოს წევრმა, ირაკლი მაჩაბელმა კრედიტებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, რომ გამოცდების დროისა და მომზადების დროის შეტანის შემდეგ უნდა აღენიშნათ პროგრამაში, თუ რა მოცულობის გახდებოდა კრედიტი, ამიტომ, შესაძლოა, საგნების შემცირება გამხდარიყო საჭირო.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ექსპერტის შენიშვნა მდგომარეობდა არა იმაში, საათები იყო თუ არა გაზრდილი, არამედ ის, რომ საგნის კრედიტში შესული გამოცდა გამოეყოთ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი მაჩაბელმა ასევე აღნიშნა, რომ სილაბუსი უნდა იცვლებოდეს ყოველწლიურად. ნია ბრეგვაძემ განმარტა, რომ მან იგულისხმა უბრალოდ ის, რომ თემატიკის ფარგლებში რთული იყო წინასწარ განესაზღვრა ლექტორს ლექციის შინაარსი. ექსპერტმა გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად განმარტა, რომ სილაბუსში იყო გაწერილი თემატიკა, უბრალოდ არ იყო მითითებული რომელ ლექციას რა დრო ეთმობოდა და სად მთავრდებოდა კონკრეტული მეცადინეობის შინაარსი, თუმცა, ამის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო დერეფანში და მონიტორებზე და არა სილაბუსში და საიტზე, სტუდენტისთვის უფრო მარტივი რომ ყოფილიყო.

ირაკლი მაჩაბელმა განაცხადა, რომ მიესალმებოდა დაწესებულების მიდგომას საკუთარ ქვეყანაში აღიარებასთან დაკავშირებით და ასევე, თანხმობა განაცხადა ექსპერტების რეკომენდაციების შესახებ.

7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვების ინდუსტრიის ინჟინერიის, საწარმოო პროცესებისა და მანქანების მართვის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	კვების ინდუსტრიის ინჟინერია, საწარმოო პროცესების და მანქანების მართვა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამრეწველო ინჟირენიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0409
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები წარადგინა მურად გარუჩავამ:

- სასურველია, სასწავლო კურსმა „ქიმიამ" დააკმაყოფილოს პრერეკვიზიტის მოთხოვნა ჩამოთვლილი საგნების მიმართ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ კურსის სილაბუსში დაემაროს რამდენიმე სალექციო საკითხი (ამის საშუალებას სილაბუსი იძლევა), იმ საგნების გათვალისწინებით, რომელთა პრერეკვიზიტს წარმოადგენს მოწოდებული საგანი, რათა ამ საგანმა, სხვა საგნებთან ერთად მიიყვანოს სტუდენტი პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნაზე;
- სასურველია, მესამე დასკვნით წერაზე საკითხები შევიდეს პირველი და მეორე შუალედური წერის საკითხებიდან გარკვეული კვოტით, რათა სტუდენტს ფინალურ წერაზე არ მოუწიოს პირველი და მეორე შუალედური წერების დროს ჩაბარებული საკითხების განმეორებით ჩაბარება;
- სასურველია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის (პროგრამის ფარგლებში) განახლება თანამედროვე ტექნოლოგიების ამსახველი ლიტერატურით;
- სასურველია მაცივრების და კონდიციონერების სასწავლო ლაბორატორიის შევსება თანამედროვე დანადგარებითა და მოწყობილობით;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ სასწავლო კურსის სწავლება დაიწყოს სტუდენტთა გარკვეული დიფერენცირების შედეგად, უნივერსიტეტის მიერ ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შესაბამისად, თუნდაც წინასწარი საუნივერსიტეტო/საფაკულტეტო ტესტირების შედეგების საფუძველზე და მათი სწავლება წარიმართოს შესაბამისი სილაბუსით. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული შემოთავაზებით ეს კომპონენტი გააუმჯობესებს სწავლის შედეგებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კონსტანტინე სირბილაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და რამდენიმე განმარტება გააკეთა: უცხო ენების ცენტრი არსებობს უკვე ორი წელია და სტუდენტების გადანაწილება ტესტის საფუძველზე ხდება, უბრალოდ სილაბუსებში არ ჩანდა ორგანიზაციული ელემენტები, თუ როგორ ნაწილდებიან სტუდენტები, შესაბამისად, ეს რეკომენდაცია მისაღებია და მომავალში გაითვალისწინებენ. მისაღები იყო ასევე შუალედურ და დასკვნით გამოცდებთან დაკავშირებული რეკომენდაცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ოთარ სესიკაშვილმა დაამატა, რომ საქართველოსთვის პრიორიტეტი არის სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშვება, შესაბამისად, საჭიროა სპეციალისტების არსებობა. დაწესებულება ცდილობს ასეთი კადრების მომზადებას, რისთვისაც კონსტრუქტორისა და მანქანათმშენელობის სპეციალობების შეჯერება სცადეს, რადგან უცხოეთიდან შემოსული მანქანების სათანადო მომსახურებას ვერ უზრუნველყოფენ არსებული კადრები.

ბიბლიოთეკის განახლებასთან დაკავშირებით, ოთარ სესიკაშვილმა აღნიშნა, რომ მაქსიმალურად ცდილობენ გაამდიდრონ თანამედროვე ლიტერატურით.

კონსტანტინე სირბილაძემ დაამატა, რომ ყოველწლიურად 200 000 ლარი აქვთ გამოყოფილი, რათა მოხდეს საჭირო განახლებები. ამისთვის წლის ბოლოს იკრიბება დეპარტამენტების მოთხოვნები და საჭიროებისამებრ, ანაწილებენ ბიუჯეტს.

მამია ჯანჯალიამ ექსპერტს მიმართა კითხვით, ხომ არ იყო წარმოდგენილი რეკომენდაციები შენიშვნების ტოლფასი, ანუ შენიშვნების გათვალისწინებით თუ გავიდოდა პროგრამა შედეგზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა გავიდოდა შედეგზე და უკეთესი იქნებოდა, თუ გაითვალისწინებდა მათ რჩევებს.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ იკითხა, რის საფუძველზე ამბობდნენ დაწესებულების წარმომადგენლები უცხოეთიდან შემოტანილი მანქანა-დანადგარების არასათანადო მომსახურებასთან დაკავშირებულ პრობლემაზე, კვლევა თუ იყო ჩატარებული ამ კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ქუთაისის მასშტაბით ჩაატარეს კვლევა, ცხრა დაწესებულებასთან ჰქონდათ გაფორმებული მემორანდუმი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა აღნიშნული კვლევა. საუბარი იყო არამხოლოდ გადამამუშავებელ საწარმოებზე, არამედ საკონდიტროებზე, ასეთი დაწესებულებები რეგიონში ბევრი იყო და, შესაბამისად, მოთხოვნაც არსებობდა.

წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ძველი საწარმოები რუსული წარმომავლობის იყო, ხოლო ახლა უკვე იტალიიდან, თურქეთიდან და გერმანიიდან შემოდიოდა დანადგარები.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ იკითხა, თუ რის საფუძველზე აახლებდნენ ინვენტარს.

კონსტანტინე სირბილაძემ უპასუხა, რომ მათ ჰქონდათ ბაზა და როგორც კი შემოდის ახალი დანადგარები, ცდილობენ შექმნან მათი ანალოგიური, თუმცა ეს არ არის მარტივი. ასევე, მან აღნიშნა, რომ ბონუსს აძლევდნენ ლაბორატორიებს მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

8. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის დამატებითი (minor) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	აგრობიზნესის მენეჯმენტის დამატებითი (minor) პროგრამა
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა თეო ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის აზრით, საინტერესო პროგრამა იყო წარმოდგენილი, პროგრამაზე მოთხოვნას ადასტურებდა გამოკითხვაც, რომელიც ჩატარდა. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია, კურიკულუმში ჩაემატოს საგანი „აგრონომიის საფუძვლები" ან მსგავსი შინაარსის საგანი, რათა პროგრამამ უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციის მინიჭება სხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის;
- სასურველია, პროგრამაში გაიწეროს მაინორის არჩევის, შეწყვეტის ან შეცვლის წესი;
- სასურველია, სილაბუსებში მითითეთებული იყოს ბოლო წლების ლიტერატურა და მოხდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შევსება (პროგრამის ფარგლებში) თანამედროვე ლიტერატურით;
- სასურველია ,საგნებში სადაც უმეტესი აქტივობა სემინარებზე არის ესეს წერა, ჩანაცვლდეს სხვა რაიმე აქტივობით (მაგ. ტესტირება/ქვიზი, საშინაო დავალება და ა.შ).

კონსტანტინე სირბილაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციებისთვის.

აგრონომიის საფუძვლებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს იყო მაინორი, რომელიც შეეთავაზებოდა სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებს, შეიქმნა სოფლის მეურნეობის საფუძვლების სილაბუსი, რომელშიც შედიოდა მეცხოველეობა, სოფლის მეურნეობა და აგრონომია (სამივედან შესაბამისი საკითხები). აღნიშნული სილაბუსი უკვე შექმნილი იყო და შეეძლოთ წარმოედგინათ. სხვა საკითხებთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანმხებოდნენ და გაითვალისწინებდნენ ექსპერტის მოსაზრებებს. მაინორის არჩევის წესთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განმარტა, რომ მართლაც არ ჰქონდათ დეტალურად გაწერილი, მაგლიათად, როგორ რეგულირდებოდა პროგრამის შეწყვეტა, თუ სტუდენტი აღარ აპირებდა ამ მიმართულებით სწავლის გაგრძელებას, მსგავსი საკითხები მისი თქმით, რეგულირდებოდა უნივერსიტეტის სხვადასხვ აქტით, თუმცა, სამომავლოდ შესაბამის წესშიც შეიტანდნენ.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ მისასალმებელი იყო, როდესაც დამატებითი პროგრამის წარმოდგენა ცალკე ხდებოდა, თუმცა, მისი თქმით, მნიშვნელოვანი იყო მიღების წინაპირობების განსაზღვრა წინასწარ ხდებოდა, კონკრეტულად რომელი პროგრამის სტუდენტებს შეეძლებოდათ პროგრამის არჩევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შეთავაზებას აპირებდნენ ყველა პროგრამის ფარგლებში, სადაც სტუდენტი სურვილს გამოთქვამდა, გარდა რეგულირებადი პროგრამებისა. ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გადახედვა ამ მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენლემა აღნიშნა, რომ დაფიქრსდებოდნენ ამ საკითხზე და გაითვალისწინებდნენ.

ირაკლი მაჩაბელმა ყურადღება გაამახვილა დაწესებულების თითშეფასების ანგარიშში მითითებულ პროგრამის სუსტ მხარეებზე, კერძოდ, დაწესებულება ასეთ ფაქტორად მიუთითებდა თანამდროვე ლიტერატურის მხრივ დეფიციტს და მიუთითებდა ასეთი ლიტერატურით უზრუნველყოფაზე. საბჭოს წევრი დაინტერესდა, აღნიშნულის გარეშე პროგრამა რამდენად შეძლებდა შედეგებზე გასვლას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ შსეაბამისი მიმართლებით დაწესებულებას თანხემბი გამოყოფილი ჰოქნდა, ასევე, დაწესებულების აკადემიური პერსონალი, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და ესაუბრა, კარგად მოტივირებული გუნდი იყო, მაღალი დონის სპეციალისტებს წარმოადგენდნენ და შეძლებდნენ პროგრამის წარმატებით განხორციელებას.

9. შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებლის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	07
კრედიტების რაოდენობა	240

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, გიორგი გვალიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ზოგადი მოსაზრება პროგრამის შესახებ დადებითი იყო, აღნიშნული, გარკვეულწილად გამომდინარეობდა პროგრამის საფეხურიდან, მოთხოვნები, რომელიც საბაკალავრო პროგრამას შეიძლებოდა წაყენებოდა, დაკმაყოფილებული იყო, პრინციპული შენიშვნები ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა, თუმცა, შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელების მიმართული იყო პროგრამის გაუმჯობესებისკენ:

- პროგრამა, როგორც სავალდებულო კომპონენტს, ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას, რომელიც, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთგვარი კვლევითი პროექტი, რომელსაც სტუდენტი ხელმძღვანელთან მჭიდრო თანამშრომლობის და მონიტორინგის პირობებში ასრულებს. შესაბამისად, რადგან საბაკალავრო ნაშრომის მომზადება გარკვეული კვლევითი მეთოდების და მიდგომების გამოყენებას აუცილებლად გულისხმობს, სასურველი იქნება, პროგრამაში სავალდებული კურსის სტატუსით შეთავაზებლ იქნას (სასურველია მე-7 სემესტრში) კურსი, „შესავალი კვლევის მეთოდებში". ამგვარი კურსის არსებობა მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სტუდენტებს საბაკალვრო ნაშრომებზე მუშაობის პროცესშილ;
- სასურველია, რომ დარგის უახლესი მიღწევების და დებატების შესახებ სტუდენტების სრულად ინფორმირების მიზნით, გაიზარდოს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში გამოცემული უახლესი ლიტერატურის წილი. ამ შემთხვევაში ძირითადად ინგლისურენოვან ლიტერატურაზეა საუბარი, რადგან ქართულ ენაზე სფეროს შესახებ ლიტერატურა საკმაოდ მწირია;
- მიზანშეწონილია, პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით თანამშრომლობის დამყარება შესაბამისი პროფილი დაწესებულებებთან, აღნიშნული უკეთ უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას და სათანადო შედეგებზე გასვლას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების რექტორმა, თამარ გარდაფხაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ რეკომენდაციების გათვალისწინება მართლაც გააუმჯობესებდა პროგრამის ხარისხს. წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას რომ პროგრამა არ იყო მოქმედი და შეეძლოთ მის ამუშავებამდე რეკომენდაციების სრულად გათვალისწინება. წარმომადგენლის თქმით, მისთვის სრულად მისაღები იყო სასწავლო კურსის „შესავალი კველვსი მეთოდებში" - დამატება და ფაკულტეტის საბჭოზე მოხდა აღნიშნულის განხილვა და გათვალისწინება. თამარ გარდაფხაძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში წარმოდგენილი იყო სასწავლო კურსი შესავალი კვლევის მეთოდებში, რომელიც ნაწილობრივ მოიცავდა შესაბამის საკითხებს, თუმცა, სამომავლოდ აუცილებლად გაითვალისწინებდნენ აღნიშნულ რეკომენდაციასაც.

უცხოენოვანი ლიტერატურის პროგრამაში წარმოდგენასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უკვე შეუკვეთეს თხუთმეტამდე წიგნი, რომელიც დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენაც შეეძლოთ. მათ ასევე ჰქონდათ ერთერთ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც დაწესებულების სტუდენტებს საშუალებას აძლევდა წვდომა ჰქონოდა ძალიან დიდი რაოდენობის წიგნზე, გადაფურცვლის რეჟიმში ელექტრონულად გაცნობოდნენ მას.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაბამისი მიზნით მოლაპარაკებას აწარმოებდნენ პარლამენტის შესაბამის კომიტეტთან, საგარეო საქმეთა სამნისტროსთან, ფინანსთან სამინისტროსთან ამდენად, აპირებდნენ თანამშრომლობის გაფართოებას.

ზაზა მარუაშვილი დიანტერესდა პროგრამის ადამიანური რესურსით, კერძოდ, რამდენი დოქტორი უზრუნველყოფდა პროგრამის განხორციელებას, პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსიდან რამდენი წარმოადგენდა დაწესებულების აკადემიურ პერსონალს.

გიორგი გვალიამ აღნიშნა, რომ ზუსტ რიცხვებს ვერ დაასახელებდა, თუმცა, მომიჯნავე დარგების, ისტორიის და სამართლის მიმართულების წარმომადგენლები იყვნენ პროგრამაში ჩართულები, ასევე, წარმოდგენილი იყვნენ პოლიტიკის დოქტორები, მათი პირადი საქმეების გაცნობის შემდეგ შეეძლო დაედასტურებინა, რომ პერსონალს ჰქონდა შესაბამისი კვალიფიკაცია.

სააკრედიტაციოდ წაროდგენილი პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ თვითნ პოლიტკის დოქტორი იყო, პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსიდან სამი ასევე პოლიტიკის დოქტორი იყო, მათ ჰქონდათ ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის გამოცდილება, პროგრამის განხორციელებაში ასევე ჰყავდათ ჩართული ისტორიის დოქტორებიც.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში წარმოდგენილი არ იყო საერთასორისო ურთიერთობების არცერთი დოქტორი.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის დაარსების დღიდან თითქმის თხუთმეტი წლის მანძილზე მუშაობდა შესაბამისი მიმართულებით და ჰქნდა შესაბამისი გამოცდილება, უშუალოდ საერთაშორისო ურთიერთობის დოქტორის ხარისხის მქონე კი ძალიან ცოტა იყო. გარდა ამისა, აღსანიშნავი იყო ის გარემოებაც, რომ საერთაშორისო ურთერთბები იყო პოლიტიკის მეცნიერების ნაწილი და ამისი გამიჯვნა არ იყო მიზანშეწონილი.

ზაზა მარუაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებლ ადამიანურ რესურსში ფიქსირდებოდა სალომე კუჭუხიძე, რომელიც საქართველოში, მისი ინფორმაციით ბოლო ერთი წლის მანძილზე არ იმყოფებოდა.

თამარ გარდაფხაძემ აღნიშნა, რომ სალომე კუჭუხიძე წარმოადგენდა მოწვეულ სეციალისტს.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში სათანადო დონით არ იყო წარმოდგენილი საერთაშორისო უსაფრთხოება, ასევე, საკითხები რუსეთთან ურთიერთობის მიმართულებით, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, დიპლომატიური და საკონსულო სამართალი, რაც დიდ დეფიციტს ქმნიდა.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის 80% იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამასთან მიახლოვებული. მისი მოსაზრებით, მიზანშეწონილი არ იყო რუსეთის თემის ცალკე საგნად გამოტანა. უსაფრთხოებასთან დაკავშირებით კი, მისი თქმით, ზოგადად იყო წარმოდგენილი რუსეთის და ამერიკის თემებიც.

ზაზა მარუაშვილმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს განესხვავებინა გლობალური პოლიტიკა და გლობალური წესრიგი.

პროგრამის ხემძღვანელმა აღნიშნა, რომ გლობალური პოლიტიკის შემთხვევაში ასწავლიდნეს ძირითად კავშირებს, ხოლო მსოფლიო წესრიგის შემთხვევაში თითოეულ მონაწილეს უშუალოდ ასწავლიდნენ, მსოფლიო წესრიგი იყო გლობალური პოლიტიკის ნაწილი.

ზაზა მარუაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში წარმოდგენილი არ იყო აგრეთვე კონფლიქტოლოგია.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ კონფლიქტოლოგია, მისი მოსაზრებით, ცალკე სპერციალობა იყო.

18:05 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 18:40 საათზე.

- შპს - დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამას (ე-პსდ) მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვების ინდუსტრიის ინჟინერიის, საწარმოო პროცესებისა და მანქანების მართვის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის დამატებითი (minor) პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებლის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია მონიტორინგის პირობით, საკითხის განხილვისას გამოკვეთილი სასწავლო კურსების პროგრამაში გათვალისწინების მიზნით (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 1).

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 18:45 საათზე.

თავმჯდომარე
ირაკლი მაჩაბელი

მდივანი
მაია ჩიხლაძე